კონფიდენციალურობის პოლიტიკა

I. სააგენტოს შესახებ

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო)
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205005910
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #49ა
რეგისტრაციის თარიღი: 17 სექტემბერი, 2012 წელი.

II. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანი

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის (შემდგომში -„სააგენტო“), მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა მაღალი ხარისხით დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე მონაცემთა დამუშავების პროცესის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, აღწეროს სააგენტოს მიერ მისი ვებგვერდის - ელექტრონული აუქციონების სისტემა www.eauction.ge-ს მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი.

III. მონაცემების დამუშავების პრინციპები

სააგენტო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს საქართველოს კონსტიტუციის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებისა და საერთაშორისო სტანდარტების/აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას სააგენტო იცავს კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, მონაცემთა ღირსების შეულახავად მონაცემთა დამუშავების, მიზნის შეზღუდვის, მონაცემთა მინიმიზაციის, მონაცემთა ნამდვილობისა და სიზუსტის, მონაცემთა შენახვის ვადის შეზღუდვისა და მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპებს.

IV. პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები

ფიზიკური პირის მიერ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობისთვის/ინტერნეტმაღაზიაში ვაჭრობისთვის სააგენტოს მიერ ვებგვერდის მეშვეობით გროვდება და მუშავდება ფიზიკური პირის შემდეგი პერსონალური მონაცემები:

- მოქალაქეობა
- პირადი ნომერი

- სახელი და გვარი
- დაბადების თარიღი
- მისამართი
- ტელეფონის ნომერი
- ელექტრონული ფოსტის მისამართი
- მომხმარებლის სახელი და პაროლი
- ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ

V. სააგენტოს მიერ შეგროვილი მონაცემების მიზნები და საფუძვლები

1. **იმონაცემთა სუბიექტების მონაცემები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ელექტრონულ აუქციონში /ინტერნეტმაღაზიაში ვაჭრობაში ვებგვერდზე რეგისტრაციის გზით.**

მონაცემთა დამუშავების მიზანი	მონაცემთა კატეგორია	მონაცემთა დამუშავების საფუძველი	შენახვის ვადა
სააგენტოსთვის სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტისთვის მომსახურების გაწევა	საიდენტიფიკაციო მონაცემები, საკონტაქტო მონაცემები, ფინანსური ინფორმაცია.	მონაცემთა სუბიექტის თანხმობა კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულება ლეგიტიმური ინტერესი გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად	ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი ვადით
მონაცემების შეგროვების წყარო		მონაცემები გროვდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან.	

2. არასრულწლოვანთა მონაცემები

ვებგვერდზე რეგისტრაცია შეუძლია მხოლოდ პირს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არის ქმედუნარიანი, შესაბამისად, სააგენტოს მიერ არ მუშავდება არასრულწლოვანი პირების მონაცემები.

3. სააგენტოს თანამშრომელთა წვდომა პერსონალურ მონაცემებზე

სააგენტოში, მისთვის სამართლებრივი აქტებით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, პერსონალური მონაცემების დამუშავება სააგენტოს დასაქმებულ პირთა მიერ ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული დასაქმებულისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულლების ფარგლებში.

VI. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება

სააგენტოში მიღებულია სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, პერსონალური მონაცემების კანონიერად დამუშავების უზრუნველსაყოფად. ასევე სააგენტოს მიღებული აქვს ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები ელექტრონულად და მატერიალურად არსებული მონაცემების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ვებგვერდზე დარეგისტრირებული მომხმარებლებისათვის ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში მომხმარებლის სახელის, პაროლის და უსაფრთხოების ერთჯერადი კოდის შეყვანის გზით, რომელიც იგზავნება მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე რეგისტრაციისას მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

VII. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს:

- მოითხოვოს იმის დადასტურება, ამუშავებს თუ არა სააგენტო მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებს, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს ინფორმაცია იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ; მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ და ა.შ.;
- გაეცნოს მის შესახებ სააგენტოში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს ამ მონაცემების ასლები;
- მოითხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მოითხოვოს მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;
- მოითხოვოს მისი მონაცემების დაბლოკვა;
- მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, სააგენტოსგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან

მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა;

- ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გამოიხმოს სააგენტოსთვის მიცემული, მისი მონაცემების დამუშავების თაობაზე გაცემული თანხმობა.
- მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

2. ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების რეალიზაციის მოთხოვნა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მოთხოვნის ელექტრონულ ფოსტაზე (info@nasp.gov.ge) გაგზავნის ან სააგენტოში წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.

VIII. პერსონალური მონაცემების გაზიარება

სააგენტომ შესაძლებელია, კონკრეტული დავალების შესასრულებლად, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები გაუზიაროს მესამე მხარეს, იმ შემთხვევაში, როდესაც სააგენტო ძირითადი საქმიანობის ფარგლებში, იყენებს მესამე მხარეების, სხვა პროვაიდერების მომსახურებას ან ასრულებს სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

სააგენტო მესამე პირებს პერსონალურ მონაცემებს გადასცემს მხოლოდ სამართლებრივი აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და მიზნები, დასამუშავებელ მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა დამუშავების ვადა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებები და ვალდებულებები.

სააგენტო, ასევე, უფლებამოსილია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს გაუზიაროს პერსონალურ მონაცემების თაობაზე ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული საჭიროა სააგენტოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

ვებგვერდზე რეგისტრაციისას, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, მის მიერ მითითებული პირადი მონაცემების იდენტიფიცირების მიზნით, ხორციელდება მათი გადამოწმება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ინფორმაციის ვალიდურობის შემთხვევაში, მომხმარებელი (მონაცემთა სუბიექტი) ხდება აქტიური სისტემაში.

IX. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების წესი

1. სააგენტოში მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება ხდება სააგენტოს ინიციატივით, სამართლებრივი აქტით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად ან მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე.
2. სააგენტოს ინიციატივით მონაცემების წაშლა ან განადგურება ხდება სააგენტოში შესაბამისი პერსონალური მონაცემის შენახვის ვადის გასვლის შემდგომ. ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების წაშლა ხდება ელექტრონულად, იმგვარად, რომ მათი აღდგენა შეუძლებელი იყოს არაპროპორციული ძალისხმევის გაწევის გარეშე.
3. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მოთხოვნის ელექტრონულ ფოსტაზე (info@nasp.gov.ge) გაგზავნის ან სააგენტოში წერილობითი ფორმით წარდგენის გზით.
4. სააგენტო ვალდებულია, მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და წაშალოს/გაანადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აქცნობოს მოთხოვნაზე უარი, შესაბამისი საფუძვლის მითითებით და განუმარტოს უარის გასაჩივრების წესი.
5. მონაცემების განადგურების/წაშლის თაობაზე დგება პერსონალური მონაცემების განადგურების აქტი/ოქმი, სადაც, სულ მცირე, მიეთითება განადგურებული/წაშლილი მონაცემის თაობაზე ინფორმაცია, განადგურების/წაშლის საფუძველი, განადგურების/წაშლის ფორმა, განადგურებაზე/წაშლაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ი და ხელმოწერა, განადგურების თარიღი.
6. პერსონალური მონაცემების წაშლასა და გადადგურებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი განისაზღვრება სააგენტოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აქტით.

X. სხვა პირობები

საკითხები, რომელსაც არ მოიცავს წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი, რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად ან სააგენტოში დამტკიცებული და მოქმედი წესის შესაბამისად.

XI. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის ცვლილება

წინამდებარე დოკუმენტი პერიოდულად განახლებადია სააგენტოს მიერ.

დოკუმენტში ცვლილებები შეიტანება სააგენტოს ვებსაიტზე გამოქვეყნების გზით და მონაცემთა სუბიექტი პერიოდულად უნდა გაეცნოს ცვლილებებს. ცვლილებების შესახებ მონაცემთა სუბიექტს პერსონალურად ეცნობება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვალდებულება გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან.

XII. სააგენტოსთან დაკავშირება

მონაცემთა სუბიექტის მიერ კანონმდებლობითა და წინამდებარე დოკუმენტით მისთვის მონიჭებული უფლებების რეალიზების შემთხვევაში, მას შეუძლია სააგენტოს მისწეროს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: info@nasp.gov.ge ან სამუშაო საათებში ეწვიოს/ განცხადება დატოვოს სააგენტოში (მის: 0179, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N49ა) პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, მონაცემთა სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იმისათვის, რათა სააგენტო დარწმუნდეს, რომ მონაცემებს ნამდვილად მონაცემთა სუბიექტს ან მის უფლებამოსილ პირს უზიარებს, განცხადებას თან უნდა ახლდეს პირადობის მოწმობის ასლი (როდესაც განცხადებას მონაცემთა სუბიექტი თავად წერს) ან მინდობილობა და პირადობის მოწმობის ასლი (როდესაც განცხადებას მონაცემთა სუბიექტის უფლებამოსილი პირი/ წარმომადგენელი წერს).

აგრეთვე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, სამუშო საათებში, სააგენტოსთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 1420, ასევე სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან: ნანა მახარაძე, nmakharadze@nasp.gov.ge.